

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის

ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

„ადგილობრივი თვითმართელობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 78-ე მუხლის მე-2-ე ნაწილის თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 დეკემბრის №48 დადგენილებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 7014,1 ათ.ლარით.

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელდა 17 ცვლილება:

I. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 08 იანვრის №4 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტი დაზუსტდა 2014 წლიდან გარდამავალი ნაშთებით:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრების ნაშთმა 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგინა 3241,4 ათ. ლარი. შესაბამისად 2015 წლის ვალდებულება გადანაწილდა შემდეგნაირად:

1. გათანაბრებითი ტრანსფერი - 195,1 ათ. ლარი;
2. საქართველოს მთავრობის #1052 განკარგულება (სტიქია ივნის-ივლისი) – 17.3 ათ. ლარი;
3. საქართველოს მთავრობის #866 განკარგულება (სტიქია) – 78.2 ათ. ლარი;
4. საქართველოს მთავრობის #35 განკარგულება 13.01.2014 წელი (რეგიონალური პროექტები) – 2.1 ათ. ლარი;
5. საქართველოს მთავრობის #34 განკარგულება 13.01.2014 წელი (რეგიონალური პროექტები) – 445.8 ათ. ლარი;
6. საქართველოს მთავრობის #471 განკარგულება 20.03.2014 წელი (პეპლები, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით) – 34.6 ათ. ლარი;
7. საქართველოს მთავრობის #311 განკარგულება 04.04.2013 წელი (რეგიონალური პროექტები) – 1 067.5 ათ. ლარი;
8. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის #2551 განკარგულება (სტიქია) – 1 297.1 ათ. ლარი;
9. თავისუფალი ნაშთი - 103,7 ათ. ლარი.

II. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 04 თებერვლის N 5 დადგენილებით ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდა 7,95 ათ. ლარით, მათ შორის:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრების ნაშთი სპეცანგარიშზე 7 950 ლარს.

აღნიშნული თანხით დაფინანსდა:

- გზების რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვის პროგრამის ხარჯები (ორგანიზაციული კოდი 03 01 01) – 7 950 ლარით;

III. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 19 თებერვლის N12 დადგენილებით ბიუჯეტის მოცულობა არ გაზრდილა. თანხები გადანაწილდა საბიუჯეტო კოდებსა და მუხლებს შორის.

IV. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 04 მარტის N13 დადგენილებით ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდა 1990,996 ათ. ლარით. მათ შორის :

1. გაიზარდა შემოსავლების ნაწილში ტრანსფერები (სპეც. ტრანსფერი) 1 990 996 ლარით

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის #39 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 1 990 996 ლარი. მათ შორის:

- საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების მიზნით - 219 700 ლარი;
- პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განსახორციელებლად - 1 771 296 ლარი;

V. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 01 აპრილის N18 დადგენილებით ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდა 1 342 237 ათ. ლარით. მათ შორის :

1. გაიზარდა შემოსავლების ნაწილში ტრანსფერები (სპეც. ტრანსფერი) 1 342 237 ლარით

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის #506 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან „სოფლის მხარდაჭერის პროგრამისათვის” ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 1 342 237 ლარი. მათ შორის:

- პროექტებით გათვალისწინებული სამუშაოების განსახორციელებლად - 1 342 237 ლარი;

VI. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 06 მაისის N21 დადგენილებით ბიუჯეტის მოცულობა უცვლელი დარჩა. შესრულდა საბიუჯეტო მუხლებს შორის თანხების გადანაწილება .

VII. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 03 ივნისის N24 დადგენილებით ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდა 1 739 717 ლარით. მათ შორის :

1. გაიზარდა შემოსავლების ნაწილში ტრანსფერები (სპეც. ტრანსფერი) 1 739 717 ლარით

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 აპრილის #694 განკარგულებით „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის #39 განკარგულებაში ცვლილების შეტანით ოზურგეთის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო **1 419,0 ათ. ლარი. მათ შორის:**

- პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განსახორციელებლად - **1 419,0 ათ. ლარი;**

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 15 მაისის #971 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო **320, 717 ათ. ლარი. მათ შორის:**

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მერია-ლაითურის შემაერთებელ სახიდე გადასასვლელის მშენებლობის პროექტის ფარგლებში - **320, 717 ათ. ლარი;**

VIII. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 01 ივლისის N26 დადგენილებით ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდა 1 819 000 ლარით. მათ შორის :

1. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 2 ივნისის #1132 განკარგულებით „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის #39 განკარგულებაში ცვლილების შეტანით ოზურგეთის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო **50,0 ათ. ლარი. მათ შორის:**
 - პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განსახორციელებლად - **50.0 ათ. ლარი;**
2. გაიზარდა შემოსავლების ნაწილში საკუთარი შემოსავლები **319 000 ლარით;**

3. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 29 ივნისის #1381 განკარგულებით „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტს 2014-2015 წლებში სხვადასხვა სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით გამოეყო 1 450 000 ლარი.

IX. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 14 ივლისის N27 დადგენილებით ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდა 1 049 592 ლარით. მათ შორის :

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ივლისის #1504 განკარგულებით „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის #39 განკარგულებაში ცვლილების შეტანით ოზურგეთის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო **1049592** ლარი. მათ შორის:

- პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განსახორციელებლად - **1049592** ლარი;

X. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 აგვისტოს N29 დადგენილებით ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდა 71 000 ლარით. მათ შორის :

- შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები - **20 000** ლარით;
- შემოსავალი ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან - **39 000** ლარით;
- შემოსავალი ძირითადი კაპიტალის გაყიდვიდან - **12 100** ლარით;

XI. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 სექტემბრის N31 დადგენილებით ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდა 482 800 ლარით. მათ შორის :

- საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) - **35 000** ლარით;
- მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის - **34 000** ლარით;
- შემოსავალი ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან - **229 800** ლარით;
- შემოსავალი მიწის გაყიდვიდან - **184 000** ლარით;

XII. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7 ოქტომბრის N33 დადგენილებით ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდა 696 185 ლარით. მათ შორის :

გაიზარდოს სულ შემოსავლების და გადასახდელების ნაწილში **696 185 ლარით:**

1. გაიზარდოს შემოსავლების ნაწილში ტრანსფერები (სპეც. ტრანსფერი) **750000** ლარით

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 სექტემბრის #1881 განკარგულებით „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის #39 განკარგულებაში ცვლილების შეტანით ოზურგეთის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო **750000** ლარი. მათ შორის:

- პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განსახორციელებლად - **750000** ლარი;

2. გაიზარდოს შემოსავლების ნაწილში საკუთარი შემოსავლები **28 000** ლარით;

კერძოდ:

- შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები - **7000** ლარით;
- შემოსავალი ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან - **15 000** ლარით;
- შემოსავალი პროცენტებიდან - **6000** ლარით;

შემცირდეს:

1. შემცირდეს შემოსავლების ნაწილში ტრანსფერები (სპეც. ტრანსფერი) **81 815** ლარით

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 სექტემბრის #1881 განკარგულებით „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის #39 განკარგულებაში ცვლილების შეტანით ოზურგეთის მუნიციპალიტეტს შეუმცირდა დაფინანსება **81 815** ათ. ლარით.

XIII. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 4 ნოემბრის N35 დადგენილებით ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდა 723 423 ლარით. მათ შორის :

გაიზარდოს სულ შემოსავლების და გადასახდელების ნაწილში **723 423 ლარით:**

1. გაიზარდოს შემოსავლების ნაწილში ტრანსფერები (სპეც. ტრანსფერი) **681923 ლარით**

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 13 ოქტომბრის #2195 განკარგულებით „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიმდინარე წელს მომხდარი სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებისა და საექსპერტო მომსახურებისათვის, სამშენებლო სამუშაოებისა და მასთან დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების შესყიდვისათვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 681 923 ლარი. მათ შორის:

- სამშენებლო სამუშაოებისა და მასთან დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების შესყიდვისათვის - **681923 ლარი;**

2. გაიზარდოს შემოსავლების ნაწილში საკუთარი შემოსავლები **41,5 ლარით;**

კერძოდ:

- შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები - **41,5 ლარით;**

XIV. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 20 ნოემბრის N40 დადგენილებით ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდა 118 200 ლარით. მათ შორის :

გაიზარდოს სულ შემოსავლების და გადასახდელების ნაწილში **118 200 ლარით:**

1. გაიზარდოს შემოსავლების ნაწილში საკუთარი შემოსავლები **118 200 ლარით;**
კერძოდ:

- შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები - **31 800 ლარით;**
- შემოსავალი ქონების მართვაში გადაცემიდან (რენტა) - **17 500 ლარით;**
- შემოსავალი ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) – **50 000 ლარით;**
- მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - **11900 ლარით;**

- მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის - **7 000** ლარით;

XV. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 დეკემბრის N41 დადგენილებით ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდა 552 904 ლარით. მათ შორის :

გაიზარდოს სულ შემოსავლების და გადასახდელების ნაწილში **552 904** ლარით:

1. გაიზარდოს შემოსავლების ნაწილში ტრანსფერები (სპეც. ტრანსფერი) **250 000** ლარით.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 ნოემბრის N 2529 განკარგულებით „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოეყო 250 000 ლარი.

2. გაიზარდოს შემოსავლების ნაწილში საკუთარი შემოსავლები **324 000** ლარით;

კერძოდ:

- შემოსავალი ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) – **220 000**
- შემოსავალი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ფიზიკური პირებიდან ქონების გადასახადი - **104 000** ლარით;

შემცირდეს:

1. შემცირდეს შემოსავლების ნაწილში ტრანსფერები (სპეც. ტრანსფერი) **21 096** ლარით

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის N2419 განკარგულებით „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის #39 განკარგულებაში ცვლილების შეტანით ოზურგეთის მუნიციპალიტეტს შეუმცირდა დაფინანსება **21 096** ლარით. მათ შორის:

- პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა - **1 824** ლარით;

- საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვისთვის გამოყოფილი თანხა - **19 272** ლარით;

XVI. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N44 დადგენილებით ბიუჯეტის მოცულობა არ გაზრდილა .

მოხდა კლასიფიკაციის მუხლებს შორის თანხების გადანაწილება.

XVII. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 დეკემბრის N46 დადგენილებით ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდა 31 615 ლარით. მათ შორის :

გაიზარდოს სულ შემოსავლების და გადასახდელების ნაწილში **31 615 ლარით:**

1. გაიზარდოს შემოსავლების ნაწილში ტრანსფერები (კაპიტ. ტრანსფერი) **100 000** ლარით.
2. შემცირდეს შემოსავლების ნაწილში ტრანსფერები (კაპიტ. ტრანსფერი) **68 385** ლარით

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 25 დეკემბრის N2797 განკარგულებით „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის #39 განკარგულებაში ცვლილების შეტანით დაზუსტდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი ტრანსფერი. მათ შორის:

გაიზარდა:

- პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა - **100 000** ლარით;

შემცირდა:

- პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა - **67 885** ლარით;
- საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვისთვის გამოყოფილი თანხა - **500** ლარით;

2015 წლის განმავლობაში ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების შედეგად 2015 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა **20 231,8** ათ.ლარით. მათ შორის:

- 1) გადასახადები - 1 569,0 ათ.ლარი
- 2) ტრანსფერი - 14 029,2 ათ.ლარი
- 3) სხვა შემოსავლები - 1 107,1 ათ.ლარი
- 4) არაფინანსური აქტივების კლება - 277,1 ათ.ლარი
- 5) შემოსავალი ნაშთიდან - 3249,4 ათ.ლარი.

შ ე მ ო ს უ ლ ო ბ ე ბ ი :

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 17 317,1 ათ. ლარი, წლიური გეგმის 101,97%-ი (წლიური დაზუსტებული გეგმა 16 982,3 ათ.ლარი, (იხ.დანართი #2)

შემოსავლების წლიური გეგმა ტრანსფერის გარეშე შესრულებულია 108,89 %-ით (გეგმა 2676,1 ათ.ლარი, შესრულება 2914,1 ათ.ლარი), მათ შორის:

- საწარმოთა ქონების (გარდა მიწისა) გადასახადის გეგმა 96,60 %-ით (წლიური გეგმა 545,0 ათ.ლარი შესრულება 526,5 ათ.ლარი);
- ფიზიკურ პირთა ქონების (გარდა მიწისა) გადასახადის გეგმა შესრულებულია 78,38%-ით. (წლიური გეგმა 290,0 ათ. ლარი შესრულება 227,3 ათ. ლარი);
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 138,63 %-ით. (წლიური გეგმა 95,0 ათ.ლარი შესრულება 131,7 ათ.ლარი);
- არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 144,89 %-ით.(წლიური გეგმა 639,0 ათ.ლარი შესრულება 925,9 ათ.ლარი);
- მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელის გეგმა შესრულებულია 99,94 %-ით (წლიური გეგმა 193,5 ათ.ლარი, შესრულება 193,4 ათ.ლარი);
- შემოსავლი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან 117,89 %-ით (წლიური გეგმა 47,5 ათ.ლარი, შესრულება 56,0 ათ.ლარი);
- მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის 106,32 %-ით (გეგმა 128,0 ათ.ლარი, შესრულება 136,1 ათ.ლარი);
- მოსაკრებელი მოსახლეობის ტერიტორიის დასუფთავებისათვის 86,0 %-ით (გეგმა 30,0 ათ.ლარი შესრულება 25,8 ათ.ლარი);
- შემოსავალი ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან 104,10 %-ით (წლიური გეგმა 581,8 ათ.ლარი,შესრულება 605,7 ათ.ლარი);
- არაფინანსური აქტივების გაყიდვიდან 152,07 %-ით (წლიური გეგმა 277,1 ათ.ლარი, შესრულება 421,4 ათ.ლარი);

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებულია ფინანსური დახმარება (ტრანსფერი) 13 981,6 ათ.ლარი, მათ შორის:

- ა) გათანაბრებითი ტრანსფერი – 5 271,5 ათ.ლარი ;
- ბ) მიზნობრივი ტრანსფერი – 174,0 ათ.ლარი ;
- გ) ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი - 8 536,1 ათ.ლარი.

გ ა დ ა ს ა ხ დ ე ლ ე ბ ი (ხ ა რ ჯ ე ბ ი):

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით გადასახდელების გეგმა შეადგენს 20 231,8 ათ.ლარს (იხ.დანართი №3). ფაქტიურმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 18 870,1 ათ. ლარი, წლიური გეგმის 93,26 %, მათ შორის:

- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯებმა შეადგინა 3 204,5 ათ.ლარი წლიური გეგმის 95,59 %;
 - ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების დაფინანსებამ შეადგინა 156,8 ათ.ლარი წლიური გეგმის 98,36 %;
 - ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის დაფინანსებამ შეადგინა 12 722,2 ათ.ლარი, წლიური გეგმის 92,16 % ;
 - საგანმანათლებლო ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 1 484,2 ათ.ლარი, წლიური გეგმის 100 %;
 - კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 753,6 ათ.ლარი, წლიური გეგმის 94,0 %;
 - სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებამ შეადგინა 548,8 ათ.ლარი, წლიური გეგმის 86,97 %;
- 2015 წლის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდის ხარჯებმა შეადგინა 153,8 ათ.ლარი, გეგმის 90,47 % .

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური
უფროსი:

/გ.მამაკაიშვილი/